ᲕᲐᲚᲘᲬᲐᲓᲘ ᲛᲗᲘᲗᲝᲜᲔᲑᲔᲑᲘ

ᲞᲠᲝᲚᲔᲢᲐᲠᲔᲑᲝ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐ, ᲨᲔᲛᲐᲠᲗᲓᲘᲗ!

კომუნისტი

ᲡᲐᲥ. Კ. Ა. (ᲑᲝ) ᲪᲔᲜᲢᲠ. ᲓᲐ ᲗᲑ. ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲔᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲡᲐᲛ. ᲡᲐᲙᲘᲡ ᲞᲠᲔᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ

ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲔᲑᲘ ᲜᲝᲛᲠᲔᲑᲘ: რედაქტორის—14—76, რედ. მოადგილის—23—17, სამდივნოს—10—58, მო. კანტორის—8—81.

ᲙᲕᲘᲠᲐ, 15 მაისი 1932 წ. № 112 (3366)

ᲕᲔᲛᲖᲐᲓᲝᲗ ᲒᲔᲚᲐᲓᲘᲡ ᲡᲘᲢᲧᲕᲘᲡ ᲓᲚᲘᲡᲗᲐᲕᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

23 ივნისს სრულდება ამხ. **სტალინის** მიერ სამეურნეო მუშაკთა თათბირზე წარმოთქმული სიტყვის წლისთავი. ეს ისტორიული სიტყვა შეიცავს მთელს ჩვენს სამოქმედო პროგრამას. გამარჯვების ექვსი პირობა, რომელიც დასახულია ამ სიტყვაში, საფუძვლად უნდა დაედოს, საწარმოების მთელს შემდგომ მუშაობას.

უკვე წელიწადი სრულდება ამ სიტყვის წარმოთქმიდან და საჭიროა წინასწარი ჯამი გაუკეთოთ იმ მუშაობას, რომელიც ჩაატარეს საწარმოებმა და სამეურნეო გაერთიანებებმა ბელადის ისტორიულ მითითებათა განსახორციელებლად.

გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ ამ მიმართულებით წარმოებული მუშაობა არ არის დამაკმაყოფილებელი. საწარმოების უმრავლესობას ჯერ კიდევ არ გარდაუქმნია მთლიანად მუშაობა ახალ პირობებთან შეფარდებით. ზოგან ეს გარდაქმნა ფორმალურად ჩატარდა. იქ, სადაც ბელადის მითითებები ცოტათ თუ ბევრად სრულად განხორციელდა, შედეგები დიდია: გაუმჯობესდა საწარმოს მუშაობის ხარისხი, წუნი შემცირდა, საწარმოო-საფინანსო გეგმები მთლიანად და გადაჭარბებით სრულდება. იქ კი, სადაც ბელადის მითითებების გატარებას ფორმალური ხასიათი აქვს, საწარმო თავს ვერ აღწევს ჩამორჩენას და სისტემატიური გარღვევებით ასრულებს გეგმებს.

თუ თვალს გადავავლებთ ამხ. სტალინის ცალკე მითითებების გატარებას საწარმოებში, დავინახავთ, რომ ამ დარგში ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი. ავიღოთ მუშა-ხელის ორგანიზაციულად შეგროვების საკითხი. მთელი რიგი უმნიშვნელოვანესი დარგები და სააღმშენებლო სამუშაოები მუშა-ხელის ნაკლებობის გამო გეგმებს ვერ ასრულებენ. ამავე დროს არ არის მიღებული საკმაო ზომები მუშა-ხელის მოწესრიგებულ შეგროვებისა და მისამაგრებლად წარმოებაზე. ზოგიერთმა წარმოებებმა შესძლეს მუშების მოზიდვა, მაგრამ ვერ შესძლეს შემდეგ მათი შენარჩუნება, ვერ უზრუნველჰყვეს ისინი სათანადო პირობებით. მათ შეასრულეს ბელადის მითითების მხოლოდ ერთი მხარე — შეაგროვეს მუშები, მაგრამ დაივიწყეს მეორე, არა ნაკლებ მნიშვნელოვანი მხარე—მუშებისათვის სათანადო პირობების შექმნა და ამით მათი ხანგრძლივათ მიმაგრება წარმოებაზე. მთავარია აქ მუშათა მომარაგების, საბინაო პირობების და კულტმომსახურეობის გაუმჯობესება. ამ მხრივ ყველგან თვალსაჩინო გარდატეხა ჯერ კიდევ არ მომხდარა.

ტყიბულის მაღაროებში უკანასკნელად თვალსაჩინოდ გაუმჯობესდა მუშა-ხელის მოზიდვა, ამ ნიადაგზე გაიზარდა მაღაროების ნაყოფიერება, არსებითად გაუმჯობესდა საწარმოო გეგმების შესრულების ბრძოლა. მაგრამ აქ აღსანიშნავია ერთი გარემოება. მაღაროები უმთავრესად მუშაობას აწარმოებენ კოლმეურნეთა შორის და ხელშეკრულებებს არ სდებენ მაღაროებში მოზიდვაზე ინდივიდუალურ ღარიბ და საშუალო გლეხობასთან. ეს მაენე გადახრაა და საჭიროა მისი სასწრაფოდ გამოსწორება. ტყიბულის მაღაროებში სამუშაოდ უნდა ჩავაბათ როგორც კოლმეურნეები, ისე ინდივიდუალური ღარიბი და საშუალო გლეხები.

სამეურნეო ანგარიშის დანერგვის დარგში ჯერ კიდევ არ არის აღმოფხვრილი ფორმალური მიდგომა და ბიუროკრატიული მოუქნელობა. ზოგიერთი საწარმოებში სამეურნეო ანგარიშის შეუფასებლობას იჩენენ (ტყიბული, ქასპი), ზოგან მას ფორმალურად ატარებენ. სამეურნეო ანგარიშის ბრიგადების განმტკიცებას არ ექცევა სათანადო ყურადღება, ბრიგადებთან დადებული ხელშეკრულებები არ სრულდება. ზოგიერთი საწარმო ვერ ერკვევა სამეურნეო ანგარიშის გატარებასთან დაკავშირებულ საკითხებში, ამავე დროს ის მოკლებულია კონკრეტულ ხელმძღვანელობას და დახმარებას მაღლა მდგომ სამეურნეო ორგანოს მხრიდან. სამეურნეო ანგარიშზე გადაყვანილი ბრიგადების განვითარების საქმეში ძირითად დამრკოლებას წარმოადგენს აღრიცხვის მოუგვარებლობა, ცუდი შინასაწარმო დაგეგმვა, საწარმოო - საფინანსო გეგმის მაჩვენებელთა არადაყვანა ბრიგადამდე და მუშამდე, კონკრეტული ვალდებულებების არშეტანა ხელშეკრულებებში მასალის და სათბობის ხარჯვის შემკირების დარგში და სხვ.

მოუგვარებელია აგრეთვე სამეურნეო ანგარიშზე გადასული ბრიგადების აღრიცხვა. საქ. პროფსაბჭოს ცნობებით, 1932 წლის 1-ლ მარტისათვის საქართველოში იყო 1245 სამეურნეო ანგარიშის ბრიგადა, რომლებშიაც ჩაბმული იყო 13.957 მუშა. ამის შემდეგ თუ როგორ გაიზარდა ბრიგადების რიცხვი, რამდენი ბრიგადაა ამჟამად საქართველოში — პროფსაბჭომ არაფერი იცის.

გათანაბრება ჯერ კიდევ არ არის! საბოლოოდ აღმოფხვრილი. ისეთ საწარმოშიც კი, როგორიც არის ტყიბულის სახელობის სარემონტო ქარხანა, რომელსაც ყველა პირობები აქვს მუშაობის გასამჯობესებლად, გათანაბრებას ჯერ კიდევ მაგრად აქვს გამჯდარი ფესვები. არის შემთხვევები, როცა კვალიფიციური ხარატი მეთუნუქე ნაკლებს იღებს (ამჟამად საამქრო). გათანაბრების ფაქტები მრავლად მოიპოვება თბილისის ჰრეშუმის ფაბრიკაში, თამბაქოს პირველ ფაბრიკაში და სხვაგან.

გაუპიროვნება კვლავ ბატონობს მთელ რიგ საწარმოებში. არ არის ჩატარებული მუშების მიმაგრება მანქანა - იარაღებზე, დაზგების დროზე შეკეთება მოუგვარებელია. ხშირად კვალიფიციურ მუშებს იყენებენ შავ სამუშაოზე (ტყიბული), სათანადო ინტენსივობით არ სწარმოებს მუშათა ახალი კადრების მომზადება, ტექნიკის დაუფლების საქმე ყველგან არ სდგას თავის სიმაღლეზე. მოისუსტებს ხელმძღვანელობა ტექნიკურ წრეებზე, ინჟენერ-ტექნიკოსების მონაწილეობა მათში არ არის საკმარისი.

ამ ნაკლოვანებებთან ერთად არის საწარმოები, რომლებმაც მუშაობის გარდაქმნით მნიშვნელოვან შედეგებს მიაღწიეს. მაგრამ ეს მუშაობა ჯერ კიდევ არ არის საკმაოდ გარდაქმნილი. ბელადის მითითებათა რეალიზაციისათვის ბრძოლა არ არის მოქცეული ყურადღების ცენტრში. წარმოებები იბრძვიან ცალკე მითითებების განსახორციელებლად, მაგრამ მთლიანად და ბოლომდე ეს მითითებები არ არის გატარებული.

„ამხ. სტალინის ექვსი მითითება—ეს ბოლშევიკური ხელმძღვანელობის მეთოდების გარდაქმნისათვის ბრძოლის **მთლიანი** პროგრამაა. **არ შეიძლება ერთი, რომელიმე მითითების განხორციელება სხვებისაგან განცალკევებულად.** ყველა ეს მითითებები განუშორებელია ერთმანეთისაგან და წარმოადგენენ ამ ღონისძიებათა **მთლიან** სისტემას, რომლებიც მიმართულია ჩვენი მუშაობის რიცხობრივ და ხარისხობრივ მაჩვენებლების შემდგომი გაუმჯობესებისაკენ, სოციალისტური შენებლობის ტემპების შემდგომი დაჩქარებისაკენ“ (ამხ. პოსტიშევის ხიტყვიდან მე-17 პარტკონფერენციაზე).

ორ ფრონტზე შეუნელებელი ბრძოლით, შრომის სოციალისტური ფორმების კიდევ უფრო ფართოდ გაშლით, ამხ. სტალინის ისტორიული მითითებების განხორციელებით, კომუნისტების ავანგარდული რიგების გაძლიერებით საწარმოებში—ჩვენ უნდა შევასრულოთ დანაკლისის შეჭრისება და პირველი ხუთწლედის უკანასკნელი წლის იეგმების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულება.

ჩვენი ლოზუნგია: **არც ერთი საწარმო, რომელსაც ბელადის ისტორიული სიტყვის წლისთავისთვის არ ექნება განხორციელებული გამარჯვების ექვსი აუცილებელი პირობა.**

ᲗᲣᲠᲥᲔᲗᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲒᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘ

ᲗᲣᲠᲥᲔᲗᲘᲡ ᲞᲠᲔᲡᲐ ᲡᲐᲔᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲗᲣᲠᲥᲔᲗᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲪᲔᲛᲣᲚ ᲡᲘᲡᲮᲚᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

სტამბოლი, 13 მაისი. თურქეთის პრესა საბჭოთა კავშირის მიერ თურქეთისათვის მიცემულ სესხს აფასებს როგორც უანგარო მეგობრულ დახმარებას თურქეთისადმი. ეს დახმარება თურქეთის წინაშე სახვის იანვითარების ახალ გზებს. განზრახულია სოფელში ფაბრიკებისა და მარება თურქეთი სწინაშე სახავს გაყობილობის მიღება (ალ.).

ᲘᲜᲓᲣᲡᲢᲠᲘᲐᲚᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲤᲠᲝᲜᲢᲘᲓᲐᲜ

ᲥᲕᲐᲜᲐᲮᲨᲘᲠᲘ

ტყიბული, 14 მაისი. (საქ. კორ). 13 მაისს ტყიბულის მაღაროების აღმოსავლეთ უბანში ამოღებულ იქნა 296 ტონა ქვანახშირი, დასავლეთის უბანში—513 ტონა. სულ, ორივე უბანში ამოღებულ იქნა 809 ტონა, დღიური დავალების 84,27 პროცენტი. მაღაროებში სამუშაოდ გამოვიდა 1142 მუშა. შრომის ნაყოფიერება თვითეულ მუშაზე უდრიდა 727 კილოგრამს. მაღაროებმა დამზადებული პროდუქციის გასაზიდათ მოითხოვა 35 ვაგონი, რკინის გზამ კი მიაწოდა მხოლოდ 27.

ლ. ჯავახაძე.



23 ივნისი—ამხ. სტალინის სიტყვის წლისთავი

ქუთაისის საკონსერვო ქარხნის

მშენებლობაზე ბელადის ექვსი პირობის განხორციელება

ქარხანა უნდა ამუშავდეს 15 ივლისს

ქუთაისის საკონსერვო ქარხნის მშენებლობა, რომელიც მიმდინარე წლის მაისში უნდა დამთავრებულიყო, დღესაც არადამაკმაყოფილებელი ტემპებით მიმდინარეობს. ქარხნის ამუშავების ვადად საკონტროლო ორგანოების მიერ ამჟამად დაწესებულია 15 ივლისი. მაგრამ მუშაობის დღევანდელი ტემპები, სრულებით ვერ უზრუნველყოფენ მშენებლობის დამთავრებას ამ დროისათვის, თუ ახლავე არ იქნა მიღებული სათანადო ზომები. საქმე იმაშია, რომ ქარხნის მშენებლობის პირველი კვარტალის გეგმა შესრულებულია მხოლოდ 40 პროცენტით, ხოლო მშენებლობის საერთო გეგმა 45 პროცენტით. ამის უმთავრესი მიზეზია — მშენებლობაზე ამხ. სტალინის მითითებათა გაუტარებლობა, და სუსტი პარტიული ხელმძღვანელობა. ამას ზედ ერთვის ის გარემოებაც, რომ მუშები არ იცნობენ გეგმებს. მიმდინარე წლის მეორე კვარტალის გეგმა აქ მხოლოდ 28 აპრილს მიიღეს. მშენებლობის ეს საერთო გეგმა დღესაც არ არის დამუშავებული ცალკე ობიექტების და. სამუშაოთა სახეების მიხედვით და არაა დაყვანილი ბრიგადებამდე და, ცალკე მუშებამდე.

ცალკე საამქროების და კორპუსების მშენებლობის გეგმა მაისისათვის შესრულებული იყო შემდეგნაირად: საქვაბე საამქროს—92 პროც., სათუნუქე საამქროს — 50 პროც., წყალსაქაჩი სადგურის — 75 პროც. და მთავარი საწარმოო კორპუსის 40 პროცენტით. ამჟამად მთავარ მთავრდება რკინის თუნუქის საამქრო და ქარხნის ლაბორატორიის მშენებლობა და კანალიზაციის მოწყობა.

ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲝᲛᲐᲠᲐᲒᲔᲑᲐ—ᲡᲣᲡᲢᲘ ᲠᲒᲝᲚᲘᲐ

მშენებლობის ყველაზე სუსტი ადგილი საალმშენებლო მასალებით მომარაგებაა. მშენებლობას აკლია აგური, ხე-ტყე და სახურავი მასალები. ნახევარი მილიონი ცალი აგურის გადმოზიდვას, რომელიც უკვე დამზადებულია, აბრკოლებს საჭირო ტრანსპორტის უქონლობა. ქუთაისის „გუტტრანსპორტი“, რომელთანაც მშენებლობას დადებული აქვს ხელშეკრულება არ ასრულებს ასეთს. „გუტტრანსპორტი“ სისტემატიურად შლის მშენებლობის მომარაგების საქმეს და ჩადის დანაშაულებრივ დაუდევრობას. ამ გარემოებას ახლავე უნდა მიექცეს სათანადო ყურადღება და მიღებულ იქნას ყველა ზომები იმისათვის, რომ „გუტტრანსპორტმა“ შეასრულოს ხელშეკრულებები მშენებლობის მასალების გადმოზიდვის შესახებ.

ხე-ტყის მასალების ნაკლებობას მშენებლობა ყველაზე მწვავედ გრძნობს. ხე-ტყით მომარაგების გეგმა მიმდინარე წლის პირველ კვარტალში მხოლოდ 15 პროც. შესრულდა. ამჟამადაც ეს მასალები მშენებლობაზე არ მოიპოვება. ამის გამო ფურნიდება სამონტაჟო ჯგუფების მუშაობა. იმისათვის, რომ მშენებლობის ყველა სამუშაოები საჭირო ტემპებით და ფართოდ გაიშალოს, საჭიროა 40 ვაგონი ხე-ტყე, რომლის თავის დროზე მოსამარაგებლად ადმინისტრაციამ და „სოიუზკონსერვსტროიმ“ ახლავე უნდა მიიღონ ყველა საჭირო ზომები.

მთავარი საწარმოო კორპუსის დასახურავად, ამჟამად საჭიროა სტანდარტული სახის სახურავი რკინა. ასეთი კი მშენებლობას დღესაც არა აქვს. ეს გარემოებაც ხელს უშლის ამ კორპუსის დროზე დახურვას. მშენებლობის დამთავრებამდე 2 თვე დარჩა. ამ ხნის განმავლობაში უნდა მოესწროს მანქანების და მოწყობილობის სრული მონტაჟი. მაგრამ დღემდე აქ არ მიუღიათ საჭირო მანქანები და მოწყობილობანი, რაც მონტაჟის დროზე დამთავრებას უქმნის სერიოზულ საფრთხეს. მშენებლობის ადმინისტრაცია და „სოიუზკონსერვი“. რომლებიც უშუალოდ არიან დაინტერესებული ამ საქმით დღემდე არ იღებენ საჭირო ზომებს ამ მანქანების შესაძენად და მონტაჟის თავის დროზე დაწყებისათვის.

ᲒᲔᲚᲐᲓᲘᲡ ᲛᲘᲗᲘᲗᲔᲑᲔᲑᲘ ᲓᲐᲕᲘᲬᲧᲔᲑᲣᲚᲘᲐ

ქარხნის მშენებლობაზე ამხ. სტალინის ექვსი ისტორიული მითითება, ამ მითითებათა წლის თავზეც გაუტარებელია. შეიძლება პირდაპირ ითქვას, რომ აქ, ამ მითითებების გატარების საკითხს არ აქცევენ, სათანადო ყურადღებას და არ აღებენ ზომებს მათ გარშემო მუშათა მასების ყურადღების დასარაზმავად.

ამჟამად მშენებლობა განიცდის მუშა - ხელის (განსაკუთრებით არაკვალიფიციური) მწვავე ნაკლებობას. უახლოეს ხანებში, როდესაც მიღებულ იქნება საამშენებლო მასალების ახალი პარტია და მუშობა ფართოდ გაიშლება, აქ დაკლდებათ 100—150 მუშა. ამჟამად მშენებლობაზე (ტრანსპორტის მუშაკთა და ადმინისტრატიულ - ტექნიკური პერსონალის გამოკლებით) მუშაობს 245 კაცი. მაგრამ ეს კადრები არ არიან მუდმივი. და რაც მთავარია: არ არის ურყევი წარმოებაზე მათი მიმაგრება. მშენებლობაზე ადგილი აქვს მუშა-ხელის დიდ ცვალებადობას. საშუალოდ ყოველდღიურად აქედან მიდის 12—15 მუშა. მუშა-ხელის ცვალებადობის უმთავრესი მიზეზი იმაში მდგომარეობს, რომ მათი შეგროვება სწარმოებს თვითმმდინარეობის წესით, ყოველგვარი ხელმძღვანელობის გარეშე და არაორგანიზაციულად, არახელშეკრულებათა საფუძველზე. საქმე იმაშია, რომ მშენებლობის ადმინისტრაციას არც ერთ მახლობელ კოლმეურნეობასთან არა აქვს დადებული ხელშეკრულება მუშა-ხელის მოწოდების შესახებ. ამიტომაც ადგილი აქვს მუშების შემოხვევით შეგროვებას, ყოველგვარი წინასწარი შეთანხმების და გეგმის გარეშე. ამის გამო, მშენებლობაზე, მოსული მუშები, რომლებზედაც რამოდენიმე ათასი მანეთი დაიხარჯა 4—5 დღის შემდეგ სტოვებენ მას და სხვაგან მიდიან. აი მუშა-ხელის ცვალებადობის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი. ამას ზედ ერთვის მუშათა არადამაკმაყოფილებელი საყოფაცხოვრებო პირობები, რომელიც მშენებლობაზეა შექმნილი და რაც თავის მხრივ ხელს უშლის მუშათა ცვალებადობას. დღემდე მოუგვარებელია მუშათა მომარაგების, ბინების და კვების საკითხი. მშენებლობაზე ყოველდღიურად მოდიან ახალ-ახალი მუშები, რომლებიც უბინაობის გამო ღამეს ათენ ცის ქვეშ ანდა, ნახევრად დამთავრებულ საწარმოო კორპუსის შენობაში. აღგილობრივი კოოპერაცია საჭირო მანუფაქტურისა და, მუშათა ტანსაცმელის მაგივრად იღებს ბავშვების შეკერილ ტანსაცმელს, რომელიც აქ არავის არ სჭირდება.

სასადილოც არადამაკმაყოფილებლად მუშაობს. ხშირად სასადილო არ იძლევა მარტო მეორეს ან მარტო პირველს, რაც მუშებში სამართლიან უკმაყოფილებას იწვევს. საჭვების რაისეკციაც ამ სასადილოს ძალიან ნაკლებ ყურადღებას აქცევს და არ უწევს სისტემატიურ ხელმძღვანელობას და დახმარებას.

სასადილოს აკლია საჭირო ინვენტარი, კერძოდ კი ჭიქები და კოვზები. არ ვარგა არც სამზარეულო. მის გასაკეთებლად საჭირო ზომებსაც არავინ არ იღებს. სასადილოსთან დღემდე არაა მოწყობილი დამხმარე მეურნეობა, თუმცა ამის სრული შესაძლებლობა არსებობს. აქ შესაძლებელია მეღორეობის და მაკურდღელეობის დაწყობა მეურნეობის მოწყობა, მაგრამ მშენებლობის ადმინისტრაცია და სასადილოს გამგეობა ამისათვის არავითარ ზომებს არ იღებენ.

ᲡᲐᲮᲘᲠᲝᲕᲐ ᲛᲢᲙᲘᲪᲔ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲝᲑᲐ

სოციალისტური შეჯიბრება და, დამკვრელობა მშენებლობის მუშებს შორის სათანადოდ არ არის გაშლილი. არც შეჯიბრების მიმდინარეობის შემოწმება და აღრიცხვა სწარმოებს. მშენებლობის 250 მუშიდან სოცშეჯიბრებაში ჩაბმულია მხოლოდ 109 კაცი, მაგრამ ესეც ფორმალურად. ფაქტიურად კი არავითარი მუშაობა სოცშეჯიბრების ხელშეკრულებათა შესრულების მიმდინარეობის აღრიცხვისათვის არ სწარმოებს. „ჩამორჩენილებას ამ სოცშეჯიბრებაში არ ვაბამთ“—აცხადებს მუშკომის თავმჯდომარე. სრულებით არ მომზდარა საუკეთესო დამკვრელთა დაჯილდოება, თუმცა ასეთი დამკვრელები აქ არიან. საწარმოო თათბირები არ მუშაობენ.

ᲓᲣᲛᲔᲠᲘᲡ ᲛᲙᲕᲚᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲘᲠᲒᲕᲚᲘᲕ

ᲕᲘᲜ ᲐᲠᲘᲡ ᲒᲝᲠᲒᲣᲚᲝᲕᲘ

ᲚᲐᲖᲘᲜᲡᲙᲘᲡ ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲗᲐ ᲬᲔᲠᲘᲚᲘ

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ, 13 მაისი. „პრავდა“-მ და „იზვესტია“-მ დაბეჭდეს ლაზინსკის კოლმეურნეთა შემდეგი წერილი: „ჩვენ, ლაზინსკის სტანიცის კოლმეურნეები, რომლებიც ვიცნობთ ჩვენი სტანიცის მცხოვრებ პავლე გორგულოვს — ვაცხადებთ მთელი მსოფლიოს ყველა მშრომელთა, საყურადღებოდ, რომ საფრან-გეთის პრეზიდენტ დუმერის მკვლელი გორგულოვი არის მემამულე ოფიცრის შვილი. გორგულოვების ჩამოერთვა მთელი ადგილმამული და გადმოგვეცა ჩვენ. თვით პავლე გორგულოვი 1918 წელს აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლაში, როგორც გენერალ შკუროს, დენიკინის და ვრანგელის არმიების ოფიცერი. ჩვენ ლაზინსკის სტანიცის კოლმეურნეები და პარტიზანები აღშფოთებული ვართ ბურჟუაზიულ გაზეთების ვერაგი და ცილისმწამებელ პროვოკაციებით, რომლებიც ცდილობენ გაამართლონ საბჭოთა კავშირსა და საფრანგეთს შორის ურთიერთობა, ჩაგვთრიონ ომში და ამნაირათ ხელი შეუშალონ ჩვენ კოლმეურნეთა ნაყოფიერ სოციალისტურ მშენებლობას. ჩვენ ცოცხალი მოწმენი ვართ საბჭოების წინააღმდეგ თვითგვარდიელ გორგულოვის აქტიური მოქმედებისა. ჩვენ ვაცხადებთამას მთელი მსოფლიოს გასაგონად“.

კრების პრეზიდიუმი: ᲕᲘᲜᲣᲬᲣᲚᲝᲕ Ი. ᲓᲣᲛᲔᲠᲘᲡ ᲛᲙᲕᲚᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲘᲠᲒᲕᲚᲘᲕ

ᲒᲝᲠᲒᲣᲚᲝᲕᲘᲡ ᲗᲐᲕᲓᲐᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲩᲕᲔᲜᲔᲑᲐ ᲓᲐᲙᲘᲗᲮᲕᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ, 13 მაისი. „პრავდა“ ათავსებს პარიზიდან მიღებულ შემდეგ იმოგრამატიკა ინიც შესახებ, თუ როგორ ეკითხვის ვი გორგულოვს პირველი დაკითხვის დროს:

„გორგულოვმა თავდაპირველად ჩვენება მისცა პოლიციის უმაღლეს მოხელეებს მაშინვე დაპატიმრების შემდეგ სასტიკად ნაცემ-ნაგ გორგულოვი დასაწყისში ლუღლუღებდა ფრაზებს: „სფრანგეთი ენახა-რება ბოლშევიკებს,.. მე რუს ფაშისტების ჯგუფის თავმჯდომარე ვარ“. შემდეგ იგი შეჩერდება და დალაგებულ ჩვენებას იძლევა: „მე ვარ მედიცინის დოქტორი. 1920 წელს მოვაწყვე რუს ფაშისტების პარტია, ამ ბოლო დროს ვსცხოვრობდი მონაკოში, საიდანაც ჩამოვედი დუმერის მოსაკლავად. ამისათვის საკმაო საფუძველი მქონდა. განა საფრანგეთა მხარს არ უჭერს საბჭოთა ხელისუფლებას და საბოლოოდ არ აჭარწყლებს რუსი კონტრრევოლიუციონერების ყველა იმედებს“?

უფრო დაწვრილებითი ჩვენება გორგულოვმა იმავე დღეს მისცა გამომძიებელ ფუენერს. მას შემდეგ, რაც გამოარკვიეს ვინ იყო ასეთი პიროვნება, გორგულოვმა სთქვა: „მე მონაკოში ვეწეოდი პოლიტიკურ პროპაგანდას, მაგრამ ეს პროპაგანდა მიმართული იყო არა საფრანგეთის, არამედ ბოლშევიკების წინააღმდეგ. რესპუბლიკას პრეზიდენტზე თავდასხმით მიზნად ვისახავდი იმედებული გავეხსნა საფრანგეთი გამოსულიყო ბოლშევიკების წინააღმდეგ. ამ რამდენიმე დღის წინად გაზეთებიდან გავიგე, რომ პრეზიდენტი ინახულებს ომის მონაწილე მწეარალთა მიერ მოწყობილ გამოფენას. გადავწყვიტე მომეკლა იგი ამ გამონაზე“.

გაჩხრეკის დროს გორგულოვს ალმოაჩნდა ერე რევოლვერიც. გამომძიებლის შეკითხვაზე თუ რად დაიტანდა მას ორი რევოლვერი—გორგულოვმა უპასუხა: „თავს მოვკლავდი, თუ პრეზიდენტს ვერ მოვკლავდი. გადავწყვიტე გამეწირა ჩემი სიცოცხლე ჩემი სიკეთისათვის“.

გორგულოვის ჩამორთვეს ხელწერა, რომელშიც ნათქვამია: დოქტორი პავლე გორგულოვი—რუსი ფაშისტების მეთაური, რომელმაც მოკლა საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი“.

არც პოლიციისათვის, არც გამომძიებლებისათვის მიცემული ჩვენებანი გორგულოვი არასდ არაფერს ლაპარაკობს იმაზე, რომ მისი ორგანიზაცია, თითქოს, დაახლოებული იყოს კომუნისტებთან. მთელი ეს ორი, რასაც ამ თემაზე მთავრობის უბადლებული „კომიუნიკე“ შეიცავს, თავდაბოლომდე შეთითხნილია ბატონ ტარდიეს და მის დამჭაშების მიერ პარიზის „ობრაზკიდან“. რომელიც ცდილობს დაფაროს თეორგვარდიელთა საზიზღარ პროვოკაციაში თავისი დანაშაულებრივი მონაწილეობის უფროსი და სამაზრო სამართლის მოხელეები.

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ, 13 მაისი. „პრავდა“ ათავსებს პარიზიდან მიღებულ ინფორმაციას, რომელშიც ნათქვამია:

„თვით ხასიათი დუმერის მკვლელობის საქმის გამოძიებისა საკოთხულ იწყებს. გორგულოვის ჩემოდანი, რომელიც ბოროტმოქმედს, „ტკო დე-პარი“-ს გადმოცემით, ლიონის სადგურზე დაუტოვებია, თითქოს, ჯერ კიდევ არ გაუხსნიათ. განზრახვა აქვთ ეს ჩემოდანი მხოლოდ სასამართლოს პროცესის დროს გახსნან. განა ცხადი არ არის, რომ ამ ხნის განმავლობაში შეიძლება ამოიღონ ან ამასასურველი ბასალა და იქ ჩადვან რაც უნდათ! ქვეყანა ძიების ასეთი მეთოდები გვიჩვენებენ, რომ პოლიციაც გამოიყენებს პროვოკაციის ყველა ხერხებს და ყოველ საშუალებას მიმართავს, რათა გზა-კვალი დაფაროს“.

ᲡᲘᲢᲧᲕᲐ ᲔᲫᲚᲔᲕᲐᲗ ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲙᲕᲠᲔᲚᲔᲑᲡ

ქუთაისის საკონსერვო ქარხნის მშენებლობას ყავს თავისი სოციალისტური დამკვრელები, რომლებიც იძლევიან ზოლშევიკური ტემპებით მუშაობის მაგალითს, გვიჩვენებენ შრომის სოციალისტური ორგანიზების და დამკვრელობის—გამოყენების და გადაჭარბებით ასრულებენ ყოველდღიურ საწარმოო დავალებებს, ეს დამკვრელები, რომელთათვისაც შრომა გადაიქცა ღირსების საქმედ, დიდების, სახელის და გმირობის საქმედ, თავიანთი ახალგაზრდული ენტუზიაზმით ამჩნევენ მშენებლობის ძირითად დეფექტებს, მასუთითებენ მის მიღწევებზე და თავიანთ როლზე იმ ბრძოლაში, რომელიც საწარმოებს ქარხნის გადაზე ამუშავებისათვის. ისინი ყველაზე უკეთ მოგვითხრობენ თავიანთი ბრძოლის, შრომის და გამარჯვების შესახებ. მიეცით სიტყვა მათ.

მოწინავე დამკვრელების ბრიგადა

ᲐᲛᲮ. ᲙᲐᲠᲐᲞᲝᲕᲘ

მიწის მთხრელების ბრიგადაში, რომელსაც მე ეწევმძღვანელობ, 9 კაცია. უმრავლესობა თითქმის ახალგაზრდები. ჩვენი ბრიგადა საკონსერვო ქარხნის მშენებლობაზე მოვიდა დიდიჭყონის ჩაის საბჭოთა ეკონომიდან და მუშაობს 15 მარტიდან. ჩვენი ბრიგადა 2—3-ჯერ გადაჭარბებით ასრულებს ყოველდღიურ საწარმოო დავალებებს, რომელსაც ჩვენ ვიღებთ მშენებლობის ხელმძღვანელისაგან. ბრიგადის წევრები თითქმის ყველა ერთნაირად და ყველა კარგად მუშაობს. დღიური გამომუშავება თითო მუშაზე 12-13 მანეთს შეადგენს, ზოგიერთ დროს კი 22 ცხენი, რომლებიც ამჟამად მუშაობენ მშენებლობაზე. ქარხნის კვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფის მიზნით, მოეწყო მოსამზადებელი კურსები, რომელზედაც გაიარა 50-მდე კაცმა. ამას გარდა, ქუთაისში გაიხსნა საკონსერვო საქმის სპეციალური ტექნიკუმი, რომელშიაც ამჟამად მეცადინეობს 80-მდე ახალგაზრდა — კომკავშირელი. მოსწავლეები უზრუნველყოფილი არიან სტიპენდიით და ბინებით. უფარგისია თვით ტექნიკუმის ბინა, რომელიც ძალიან დიდი მანძილითაა დაშორებული ქარხნისაგან, რაც ხელს შეუშლის მოწაფეების საწარმოო პრაქტიკას. ტექნიკუმისათვის ქარხნის მახლობლად ახალი ბინის ასაგებად უკვე გადადგმულია პრაქტიკული ნაბიჯი და ამ მიზნით, „სოიუზკონსერვი“-ს მიერ, გადადებულია 300 ათასი მანეთი.

ქარხნის საჭირო ნედლეულით უზრუნველსაყოფად დირექციამ დაიწყო და 10 მაისისათვის უკვე დაამთავრა ხილისა და ბოსტნეულის კონტრაქტაცია. ამჟამად ქარხანას ყავს 8 ათასამდე კონტრაქტანტი. ამ ხილბოსტნეულის ნაწილი წელსვე გადამუშავებულ იქნება თვით ქუთაისის ქარხანაში, ნაწილს კი გადამუშავებს გორის საკონსერვო ქარხანა.

ქუთაისის საკონსერვო ქარხნის მშენებლობაზე, რომელიც კვების მრეწველობის ერთ - ერთი მომავალი გიგანტი იქნება, არსებობს ყველა პირობები, სამუშაოთა მოცემული ვადებში დამთავრებისათვის. აქ არიან საუკეთესო დამკვრელები, რომლებიც სათანადო დამთავრების და, კონკრეტული ხელმძღვანელობის პირობებში შესძლებენ მიცემული დავალების შესრულებას; საჭიროა ამ პირობების და მუშაობის ენტუზიაზმის მიზანშეწონილად გამოყენება და ყველა ძალების მობილიზაცია იმისათვის, რომ ქუთაისის საკონსერვო ქარხანა ამუშავდეს 15 ივლისს.

ᲡᲘᲢᲧᲕᲐ ᲔᲫᲚᲔᲕᲐᲗ ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲙᲕᲠᲔᲚᲔᲑᲡ

ქუთაისის საკონსერვო ქარხნის მშენებლობას ყავს თავისი სოციალისტური დამკვრელები, რომლებიც იძლევიან ზოლშევიკური ტემპებით მუშაობის მაგალითს, გვიჩვენებენ შრომის სოციალისტური ორგანიზების და დამკვრელობის—გამოყენების და გადაჭარბებით ასრულებენ ყოველდღიურ საწარმოო დავალებებს, ეს დამკვრელები, რომელთათვისაც შრომა გადაიქცა ღირსების საქმედ, დიდების, სახელის და გმირობის საქმედ, თავიანთი ახალგაზრდული ენტუზიაზმით ამჩნევენ მშენებლობის ძირითად დეფექტებს, მასუთითებენ მის მიღწევებზე და თავიანთ როლზე ი

თბილისის მრეწველობის ოთხი თვის მუშაობის შედეგები

ამხ. პ. მელაძის მოხსენება თბილისის საწარმოთა სამკუთხედების თათბირზე

ამხანაგებო! მე-17 პარტკონფერენციამ 1932 წლისათვის მთელი პარტორგანიზაციის წინაშე დასახა ისტორიული მნიშვნელობის ამოცანები. ეს ამოცანები მდგომარეობენ იმაში, რომ უზრუნველვყოთ პირველი ხუთწლიანი გეგმის დამთავრება ოთხ წელიწადში ისეთი ღონისძიებებით გატარების გზით, როგორიცაა: სამრეწველო პროდუქციის გადიდება 36 პროცენტით, თვითდღიურებულების შემცირება 7 პროცენტით, შრომის ნაყოფიერების გადიდება 22 პროცენტით, 12 მილიარდი კაპიტალის დაბანდება, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესება, 1931 წლის დანაკლისის ანაზღაურებასთან ერთად.

ეს ამოცანები უდიდესია. მათი გადაჭრა არ შეიძლება თვითმდინარებაზე დაყრდნობით. ამ ამოცანების შესასრულებლად საჭიროა მთელი ძალ-ღონის მოკრება და ყველა შესაძლებლობის გამოყენება, პოლშევიკური შეუპოვრობის გამოჩენა გეგმათა ბრძოლაში.

ჩვენ სისტემატიურად ფხიზლად უნდა ვადევნოთ თვალი მრეწველობის მუშაობას, გულდასმით შევისწავლოთ გასული 4 თვის შედეგები და მთელითელ საჭირო ზომები ვიხმაროთ საქონლისა და ფულთან დაკავშირებით.

პრედუქციის ასეთი ზრდის მიუხედავად, რიგ წარმოებულებთან კაპიტალისტური წარმოების პირობებში, გეგმიანი დავალება მთლიანად არ არის მთლიანად შესრულებული.

თუ მომდინარე წლის პირველი კვარტალის ფაქტიური შესრულება შევადარებთ გასული წლის მეოთხე კვარტალის შედეგებს, დავინახავთ, რომ ქალაქის მრეწველობით პროდუქცია შემცირდა 16,6 პროცენტით, ეს იგი 6 მილიონი მანეთით. კერძოდ, ლითონის მრეწველობაში, მიუხედავად იმისა, რომ მეოთხე კვარტალთან შედარებით, გეგმა შემცირებულ იქნა, პროდუქცია შემცირდა 42,9 პროცენტით, მთლიანად კი მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატის ხაზით პროდუქცია შემცირდა 44,0 პროცენტით, მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატის ხაზით, 1931 წლის მე-4 კვარტალთან შედარებით, პროდუქცია შემცირდა 13 პროცენტით, კი მრძოდ, ტყავის წარმოებაში, — 45,5 პროცენტით, ფეხსაცმელით — 7,1 პროცენტით, ხამკერავით—27,2 პროცენტით.

მომარაგების სახალხო კომისარიატის მრეწველობის ხაზით (ზეთსახდელი, ხაჭნის და თამბაქოს წარმოება), მეოთხე კვარტალთან შედარებით, პროდუქცია შემცირდა 8,9 პროც., ამასთან თბილისის ხაჭოს ქარხნებში პროდუქცია 24,3 პროცენტით. ხოლო მეოთხე კვარტალთან შედარებით —29,2 პროც.

რითი აიხსნება პროდუქციის ასე ძლიერ შემცირება გასული წლის მეოთხე კვარტალთან შედარებით?

ეს უმთავრესად აიხსნება იმით, რომ ჩვენს მუშაობაში არ არის აღებული თანაბარი ტემპები და დაჩეფული ვართ ვიმუშაოთ წლის განმავლობაში წაბიძგებით. ბევრი ჩვენი საწარმო ადმიერების მუშაობის ტემპებს თვის, კვარტალის და წლის უკანასკნელ მომენტში, დასაწყისში კი მუშაობენ ნელი ტემპებით იმ იმედით, რომ ბოლოს დაფარავენ დანაკლისს.

ჩვენ ჯერ კიდევ ვერ ვისწავლეთ დავაყენოთ მუშაობა ისე, რომ იგი პირველ დღეებიდანვე წარმოებულს უეფურებდეს და ხელობდეს, ისეთი ტემპებით, რომლებიც უზრუნველჰყოფენ დავალებათა შესრულებას დანიშნულ ვადაზე.

საჭიროა ერთხელ და სამუდამოდ მოვლოს ბოლო მუშაობის ამ არაკულტურულ მეთოდს და ისე მოვგვარდეს მუშაობა, რომ უზრუნველყოთ ტემპების სისტემატიური ზრდა კვარტალიდან კვარტალამდე, თვიდან თვემდე, დეკადიდან დეკადამდე.

ეხლა, ამხანაგებო, ნება მომეცით მოკლედ შევეხოთ პირველი კვარტალის გეგმის შესრულებაზე. თბილისის მრეწველობას 1932 წლის პირველი კვარტალის განმავლობაში უნდა მოეცა 26,691.300 მანეთის პროდუქცია, ნამდვილად კი მოგვცა 23.126 ათასი მანეთის პროდუქცია, ესე იგი გეგმა შესრულებულია 86,6 პროცენტით. (სახელმწიფოს დაკალდა 3.564 ათასი მანეთის პროდუქცია).

ცალკე უწყებათა ხაზით შემდეგი სურათი გვაქვს: საქართველოს სატყეო ტრესტმა კვარტალური გეგმა შეასრულა 73,5 პროც., მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატმა—77,2 პროცენტით, მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატმა—82,5 პროც., მომარაგების სახალხო კომისარიატმა—79,3 პროცენტით, თბილისის საბჭოს ადგილობრივი მრეწველობის განყოფილებამ—86.6 პროცენტით, კერძოდ თბილისის მრეწველობამ—89,2 პროცენტით, ხაჭნის მრეწველობამ—88,9 პროც.

აქ ამხანაგები იტყვიან, რომ გეგმის შეუსრულებლობის ერთ-ერთ მიზეზს წარმოადგენს მუშა-ხელის ნაკლებობა.

ამის საპასუხოდ ნება მომეცით წინააღმდეგ ვიმოყვანო ციფრები, რომლებიც გვაჩვენებენ, რომ ეს ასე არ არის. მაგ.: საქართველოს სატყეო ტრესტმა პროდუქციის დამზადების გეგმა შეასრულა 73 პროცენტით, მაშინ, როცა ეს ტრესტი მუშა-ხელით უზრუნველყოფილი იყო 99,6 პროცენტით, ხოლო საერთოდ პროდუქციის დამზადების გეგმა მან შეასრულა 99,5 პროცენტით, მომარაგების სახალხო კომისარიატის მრეწველობა მუშა-ხელით უზრუნველყოფილი იყო 97,6 პროცენტით, პროდუქციის დამზადების გეგმა კი მან შეასრულა 79 პროცენტით. მთელ მრეწველობა მუშა-ხელით უზრუნველყოფილი იყო 100,4 პროცენტით, საერთო პროდუქციის დამზადების გეგმა კი მან შეასრულა 86,6 პროცენტით.

გადავდგათ ზრომის ნაყოფიერების და ხელფასის საკითხზე.

იმ დროს, როცა ქალაქის მთელს მრეწველობაში ხელფასის ზრდამ გეგმას გადააჭარბა 2,7 პროცენტით, ზრომის ნაყოფიერების გეგმის შესრულებას დაკლდა 10,2 პროცენტი, ცალკე უწყებებში ასეთ განსხვავებას აქვს ადგილი ზრომის ნაყოფიერებასა და ხელფასს შრის: საქართველოს სატყეო ტრესტში მუშის საშუალო დღიური გამომუშავების გეგმის შესრულების დაწნეხული ხაზის 5 პროცენტს, ხელფასის ზრდის გეგმა კი შესრულებულია 7 პროც., გადაჭარბებით, მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატის ხაზით ზრომის ნაყოფიერების გეგმის შესრულებაში დანაკლისი უდრის 25,7 პროც., ხელფასის ზრდის გეგმა კი შესრულებულია 4,3%, გადაჭარბებით,. მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატი ზრომის ნაყოფიერების გეგმის შესრულების მხრით ჩამორჩა 5,4 პროცენტით მაშინ, როცა ხელფასის გეგმას მან გადააჭარბა 1,4 პროცენტით. მომარაგების სახალხო კომისარიატი ზრომის ნაყოფიერების გეგმის შესრულების მხრით ჩამორჩა 14,7 პროცენტით, ხელფასის ზრდის გეგმას კი მან გადააჭარბა 7,5 პრ. სილიკატის ტრესტი ზრომის ნაყოფიერების გეგმის შესრულებაში ჩამორჩა 13,1 პროცენტით, ხელფასის ზრდის გეგმას კი გადააჭარბა 25,3 პროც., კერძოდ ადგილ ქარხნებში ზრომის ნაყოფიერების გეგმის შესრულების მხრით ჩამორჩენ 4,8 პროცენტით, ხოლო ხელფასის ზრდის გეგმას 30,5 პროც. გადააჭარბეს.

თავისთავად ცხადია, რომ ზრომის ნაყოფიერების ზრდის ჩამორჩენა ხელფასის ზრდასთან იწვევს დაუშვებელ გადახარჯვას. მოვიყვან ციფრებს, რომელნიც ამ დებულების ცხადყოფენ. პირველი კვარტალის გეგმით გათვალისწინებული პროდუქციის გამომუშავებისათვის (26.691.000 მან.) საჭირო იყო 11.267 მუშა, ფაქტიურად კი გვყავდა 11.804 მუშა. გამომუშავებული იქნა 23.126 ათასი მანეთის პროდუქცია. ეს იმას ნიშნავს, რომ ერთი მხრით ხალხის მეწყობის დავალებით 3,6 მილიონი მანეთის პროდუქცია, ხოლო მეორე მხრით — გვყავდა ზედმეტი მუშა-ხელი 1547 კაცის რაოდენობით, რაზედაც ზედმეტი დავზარჯეთ დებულების ცხადყოფენ. პირველი კვარტალისმუშაობაში. ესაა მეტად ცუდი და უფერო მუშაობის ნიშნები.

რა მდგომარეობაა ჩვენში თვითდირებულების შემცირების მხრივ?

მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატის ზაზით თვითდირებულებიან გეგმასთან შედარებით, გადაიდდა 5,3 პროცენტით, მაშინ, როცა ნავარაუდევი იყო მისი შემცირება 7 პროც. მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატის ზაზით თვითდირებულება გადაიდა 8 პროც., გეგმის ნაცვლად 2 პროც. შემცირების ნაცვლად. თბ მბაქოს ფაბრიკაში—20,3 პროც., 2,5 პროც. შემცირების ნაცვლად. აგურის ქარხნებში—46,5 პროც., 3,0 პროც. შემცირების ნაცვლად.

სამწუხაროდ, ასეთი უმსგავსოებისათვის ჯერ კიდევ არავინ დაუსჯიათ. ჩვენ კი ვიცით, თუ რა მნიშვნელობა აქვს თვითდირებულების შემცირებას შინასამრეწველო ღონისძიებათა შესრულების ანალიზის და შესწავლის დარგში. აი ძირითადი მიზეზები, რომლებიც იწვევენ თვითდირებულების შემცირების გეგმების არა მთლიანად შესრულებას.

რამდენიმე სიტყვა კაპიტალურ დაბანდებათა გეგმების შესრულების შესახებ. 1932 წლის გეგმა ქალაქის მრეწველობის კაპიტალურ დაბანდების თვალსაზრისით 20 მილიონ მანეთამდეა. პირველ კვარტალში დაბანდებულია მხოლოდ 1.839 ათასი მანეთი, საქარქებელი ისპასთან ერთად, რომ პირველ კვარტალში უნდა დაეპროექტებინათ წლიური დავალების მეოთხედი ნაწილი მაინც. ეს არ მომხდარა. დაპროექტებულია 1—10-ზე ნაკლები, მაგრამ ეს უმნიშვნელო თანხაც გამოყენებული არა მთლიანად, არამედ მხოლოდ 94,6 პროც.

მაშასადამე, ამ დარგშიც ჩვენში საქმე ვერ არის როგორ.

ორიოდე სიტყვით შეჩერდეს ა.-წ. აპრ. გეგმის შესრულების შედეგებზე ქალაქი კვარტალის დამლევს თბილისის კომიტეტმა მოიწვია სამეურნეო, პარტიული და პროფესიონალური ორგანიზაციების ხელმძღვანელთა თათბირი, რომელზედაც გაჩნდა ეული პირველი კვარტალის საფინანსო - სამრეწველო გეგმის შესრულების ზრდის გეგმა და შესრულების დანაკლისი. რა გვაქვს ფაქტიურად. აპრილის საერთო პროდუქციის შემცირება, 1932 წლის მარტთან შედარებით შეადგენს 3,5 პროც., ე. ი. 311 ათას მანეთს.

საქ-ტყის მრეწველობამ აპრილის გეგმა შესრულა 79,3 პროცენტით. მძიმე მრეწველობის ხაზ. კომისარიატმა—89,9 პროცენტით, აქედან ლითონის მრეწველობამ —85,,9 პროცენტით, ხე-ტყის მრეწველობის კომისარიატმა—91,3 პროცენტით, აქედან ტყავის მრეწველობამ—94,8 პროცენტით, ფეხსაცმელის—91,5 პროცენტით, ჭრა-კერვის მრეწველობამ—85,2 პროცენტით. მხოლოდ ერთი თვის გამომლობაში ჭრა-კერვის მრეწველობამ დაგვაკლო 437 ათასი მანეთი. მომარაგების ხახ. კომისარიატის მრეწველობამ—გეგმა შეასრულა 75,4 პროცენტით. თბილისის საბჭოს ადგილობრივმა მრეწველობამ—77,9 პროცენტით.

ჩამორჩენილი საწარმოებთან ერთად არის ისეთებიც, რომელნიც ბრწყინვალედ ასრულებენ თავიანთ გეგმებს. აბრეშუმის ძაფსახვევმა ფაბრიკამ აპრილის გეგმა შეასრულა 113,8 პროცენტით. მისი საერთო პროდუქცია არც ისე მცირეა—844.000 მან. თვიური გეგმით, ფაქტიურად კი არის —960 ათასი მანეთის.

